

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის  
საქმიანობის 2017 წლის ანგარიში

- ბათუმის პორტის აკვატორიაში განთავსდა და ექსპლუატაციაში გაუშვა ზღვის დონის და ნჩქრევის (ტიაგუნის) განმსაზღვრელი ხელსაწყო მარეოგრაფი.
- ბათუმის პორტში რადიო მოპასუხე (რადიო რეკონი) განთავსდა.
- „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის“ სინოპტიკოსებს უკრაინის სახელმწიფო ეკოლოგიური უნივერსიტეტის კვლევითმა ჯგუფმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-სემინარები ჩაუტარა.
- „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა“ განმეორებით გაიარა სამსახურის ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიცირების პროცესი და მოიპოვა სს ISO 9001:2015-თან შესაბამისობის სერტიფიკატი.
- სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურში IALA-ს ექსპერტების მიერ საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის სივრცეში ნავიგაციის უსაფრთხოების კუთხით აუდიტი განხორციელდა.
- საქართველოს პორტებში და სანაპირო წყლებში განხორციელდა სანავიგაციო ნიშნების მონიტორინგი, ტექნიკური უზრუნველყოფა და ჩანაცვლება-მოდერნიზაცია ნავიგაციის თანამედროვე დამხმარე საშუალებებით.
- შეუსწავლელი საზღვაო რაიონების იდენტიფიცირების მიზნით, ჩატარდა ბათიმეტრული კვლევები.
- შეიქმნა და დაკორექტირდა ნაოსნობისთვის ინტენსიური რაიონების ქალაქისა და ელექტრონული რუქების ახალი სახეობები და მასშტაბები.